

შპს “ენდითი გლობალ”

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	8-17

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ენდითი გლობალ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

დირექტორი:

ლიანა კეჩუაშვილი

01 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ენდითი გლობალ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი სანარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- საავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

დირექტორი:

ლიანა კეჩუაშვილი



01 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	49,454	54,236
სულ გრძელვადიანი აქტივები		49,454	54,236
მიმდინარე აქტივები			
გაცემული ავანსები		522,732	338,190
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	310,400	1,542,032
საგადასახადო აქტივი		-	952
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	439,475	397
ფული და ფულის ექვივალენტები	7	516,554	1,017,495
სულ მიმდინარე აქტივები		1,789,161	2,899,065
სულ აქტივები		1,838,615	2,953,301
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		(543,853)	(75,308)
სულ კაპიტალი		(543,853)	(75,308)
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	35,529	8,735
საგადასახადო ვალდებულებები	9	110,951	-
მიღებული ავანსები		2,216,463	3,019,045
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		19,525	829
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,382,468	3,028,609
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,838,615	2,953,301

დირექტორი:

ლიანა კენჭუაშვილი

01 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შპს „ენდითი გლობალ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	49,454	54,236
სულ გრძელვადიანი აქტივები		49,454	54,236
მიმდინარე აქტივები			
გაცემული ავანსები		522,732	338,190
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	310,400	1,542,032
საგადასახადო აქტივი		-	952
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	439,475	397
ფული და ფულის ექვივალენტები	7	516,554	1,017,495
სულ მიმდინარე აქტივები		1,789,161	2,899,065
სულ აქტივები		1,838,615	2,953,301
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		(543,853)	(75,308)
სულ კაპიტალი		(543,853)	(75,308)
მიმდინარე ვალდებულებები			
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	35,529	8,735
საგადასახადო ვალდებულებები	9	110,951	-
მიღებული ავანსები		2,216,463	3,019,045
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		19,525	829
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,382,468	3,028,609
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,838,615	2,953,301

დირექტორი:

გაბრიელ ჯიქიაშვილი

ლიანა კეჩხუაშვილი



01 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები: გვრდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		12,975,217	9,860,615
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(9,949,785)	(7,547,995)
საერთო მოგება		3,025,431	2,312,620
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,702,888)	(1,101,615)
კომერციული ხარჯები	11	(212,151)	(69,381)
საოპერაციო მოგება		1,110,392	1,141,624
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		-	744
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		19,285	(63,376)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(713)	(599)
მოგება დაბეგვრამდე		1,128,964	1,078,393
მოგების გადასახადი		(239,626)	(172,755)
პერიოდის მოგება		889,338	905,637
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		889,338	905,637

დირექტორი:

ლიანა კეჩუაშვილი

01 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შპს „ენდითი გლობალ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები		12,975,217	9,860,615
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(9,949,785)	(7,547,995)
საერთო მოგება		3,025,431	2,312,620
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,702,888)	(1,101,615)
კომერციული ხარჯები	11	(212,151)	(69,381)
საოპერაციო მოგება		1,110,392	1,141,624
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		-	744
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		19,285	(63,376)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(713)	(599)
მოგება დაბეგვრამდე		1,128,964	1,078,393
მოგების გადასახადი		(239,626)	(172,755)
პერიოდის მოგება		889,338	905,637
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		889,338	905,637

დირექტორი:

ლიანა კეჭუაშვილი

01 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი



შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ენდიტი გლობალ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის	200,000	(1,998)	198,002
კაპიტალის გამოშვება	(200,000)	-	(200,000)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	905,637	905,637
დივიდენდის გატანა	-	(978,947)	(978,947)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(75,308)	(75,308)
კაპიტალის გამოშვება	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	889,338	889,338
დივიდენდის გატანა	-	(1,357,883)	(1,357,883)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(543,853)	(543,853)

დირექტორი:

ლიანა კეჩუაშვილი

01 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ენდითი გლობალ“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	საწყისი კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის	200,000	(1,998)	198,002
კაპიტალის გამოშვება	(200,000)	-	(200,000)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	905,637	905,637
დივიდენდის გადანა	-	(978,947)	(978,947)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(75,308)	(75,308)
კაპიტალის გამოშვება	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	889,338	889,338
დივიდენდის გადანა	-	(1,357,883)	(1,357,883)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(543,853)	(543,853)

დირექტორი:

ლიანა კეჩუაშვილი



01 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2024	2023
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	11,732,454	12,879,166
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(9,533,487)	(9,777,339)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,021,912)	(664,982)
გადახდილი გადასახადები	(411,583)	(335,845)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	765,472	2,101,000
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(3,530)	(71,820)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,530)	(71,820)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
პარტნიორთა შენატანები		146,263
პარტნიორებისათვის გადახდილი თანხები	-	(171,263)
გაცემული დივიდენდები	(1,289,988)	(930,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,289,988)	(955,000)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(528,046)	1,074,180
სავალუტო კურსის ეფექტი ფულად სახსრებსა და ექვივალენტებზე	27,105	(60,355)
ფულის და ფულის ექვივალენტების საწყისი ნაშთი	1,017,495	3,670
ფულის და ფულის ექვივალენტების საბოლოო ნაშთი	516,554	1,017,495

დირექტორი:

ლიანა კეჩუაშვილი

01 სექტემბერი 2025 წელი

საქართველო, თბილისი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2024	2023
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	11,732,454	12,879,166
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(9,533,487)	(9,777,339)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,021,912)	(664,982)
გადახდილი გადასახადები	(411,583)	(335,845)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	765,472	2,101,000
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(3,530)	(71,820)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,530)	(71,820)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
პარტნიორთა შენატანები	-	146,263
პარტნიორებისათვის გადახდილი თანხები	-	(171,263)
გაცემული დივიდენდები	(1,289,988)	(930,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,289,988)	(955,000)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(528,046)	1,074,180
სავალუტო კურსის ეფექტი ფულად სახსრებსა და ექვივალენტებზე	27,105	(60,355)
ფულის და ფულის ექვივალენტების საწყისი ნაშთი	1,017,495	3,670
ფულის და ფულის ექვივალენტების საბოლოო ნაშთი	516,554	1,017,495

დირექტორი: *ი. ა. მ. შ.*
ლიანა კეჩუაშვილი



01 სექტემბერი 2025 წელი
საქართველო, თბილისი

ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ენდითი გლობალ” შემდგომში - “კომპანია” რეგისტრირებულია 2022 წლის 16 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404659767.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

პაოლო კასარეალე (იტალია) - YC2015574 – 38%;

ალბენს ბუშატი (იტალი) – YB8266865 – 37%;

დმიტრი ბელენკოვი (ისრაელი) – 35001003060 – 25%;

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გიორგი ლეონიძის ქუჩა, #2ა, სართული 3, ფართი #5;

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რენტგენის სამრეწველო დანადგარების და სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დამყობით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულება მოიცავს შეძენის ფასს და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- კომპიუტერები 5-7 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა 5-7 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 7-10 წელი;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური მარაგის შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები აისახება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით, უწყვეტი აღრიცხვის პრინციპის საფუძველზე.

3.5 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო

ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ასევე, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეედარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (გარდა მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა) შეძენაზე ან გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები დაემატება ან გამოაკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, საჭიროებისამებრ, თავდაპირველი აღიარებისას. მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეძენაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები წარმოდგენილი ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მომსახურების გაწევის ან საქონლის გაყიდვის შედეგად მისაღები თანხები. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების მიღების ან საქონლის მოწოდების შედეგად. თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.7 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981 -ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

3.8 ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასანევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

3.9 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები განევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.10 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ განეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც ხარჯს.

4. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ბალანსი				
31.12.2023	6,595	10,578	43,805	60,978
შეძენა	1,144	1,847	-	2,992
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი				
31.12.2024	7,739	12,425	43,805	63,969
ცვეთა				
ბალანსი				
31.12.2023	826	1,395	4,521	6,742
ცვეთა	1,029	1,640	5,104	7,773
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი				
31.12.2024	1,855	3,034	9,625	14,515
ბალანსი				
31.12.2023	5,769	9,183	39,284	54,236
ბალანსი				
31.12.2024	5,884	9,391	34,179	49,454

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	310,400	1,542,032
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	310,400	1,542,032

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	439,475	397
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	439,475	397

7. ფული და ფულის ექვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული სალაროში	4,859	98,345
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,351	4,219
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	509,344	914,931
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	516,554	1,017,495

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	35,529	8,735
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	35,529	8,735

9. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად ყველა საგადასახადო აქტივი და ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
პრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	1,284,012	830,978
დამყირავებლის საპენსიოს ხარჯი	12,194	2,852
საიტარო მომსახურების ხარჯი	114,102	109,016
კომუნიკაციის ხარჯი	5,420	5,353
კომუნალური ხარჯი	5,336	7,023
ცვეთა და ამორტიზაცია	7,773	6,742
მივლინების ხარჯი	90,556	51,964
დამღვევის ხარჯი	2,385	1,789
ბანკის ხარჯი	13,238	5,772
საკანცელარიო ხარჯი	469	1,431
კომპიუტერის ხარჯი	463	913
საკონსულტაციო ხარჯი	-	3,191
საბუღალტრო ხარჯი	45,000	27,500

რემონტის ხარჯი	-	1,434
სამეურნეო ხარჯი	848	1,957
საოფისე ხარჯი	519	3,812
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	4,651	5,681
IT მომსახურების ხარჯი	18,195	11,635
საგადასახადო ხარჯი	518	271
სხვა ხარჯები	97,209	22,301
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,702,888	1,101,615

11. კომერციული ხარჯები

კომპანიის კომერციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მარკეტინგული და სარეკლამო ხარჯები	98,765	-
ტრანსპორტირების ხარჯი	53,595	19,140
შენახვის ხარჯი	47,074	45,377
ტვირთის გაფორმების ხარჯები	12,387	4,684
შეფუთვის ხარჯი	330	180
სულ კომერციული ხარჯები	212,151	69,381

12. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოდგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

ხელმძღვანელობამ 2024 წელს ხელფასის სახით მიიღო 1 143 095 ლარი, ხოლო 2023 წელს 725 080 ლარი.

პარტნიორებმა 2024 წელს დივიდენდის სახით მიიღეს 1 357 883 ლარი, ხოლო 2023 წელს 978 947 ლარი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა და გასცა პარტნიორებზე 115 777 ლარის დივიდენდები. სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, აღვლილ არ ვქონია.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 01 სექტემბერს.